№ 84. 25 აპრილი, შაბათი. 1866 - 1881 25 აპრილი, შაბათი. № 84.


რედაქცია

გალავინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ნიღოზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა


ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილი ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., მეორედ დაბეჭდვისათვის ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.



ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

## ძმებთა კ. და ს. პოპოვებისა

მ ო ს კ ო ვ შ ი

ამით აცხადებს, რომ მოკლე ხანში ზემოხსენებულ ფირმით თბილისში გაიხსნება კერძოდ და ნარდად ჩაით ვაჭრობა, გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში, და ამით აცხადებენ საყოველთაო საცნობათ.

მაღაზიაში იქნება საუკეთესო ჩაი, ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ აწონილი საკუთარს უმთავრეს მაღაზიაში, მოსკოვში. (5—1)


## ტელეგრამმები

პეტერბურღი, 22 აპრილს. ხელმწიფე იმპერატორმა კრასნოიარსკის გადამწვართ უწყალობა 10,000 მანეთი.

მოსკოვი, 21 აპრილს. გენერალ-გუბერნატორმა გამოსცა ახალი წესდება ასასებისა და ღამის ყარაულებისათვის. ამ წესდების ძალით, უნდა თვალ-ყური ადევნონ, რომ არავინ არ გაბედოს კედლებზე აფიშების და სხვა ქაღალდების აკვრა, თუ არ ექნებათ პოლიციის ნება-რთვა. საზოგადოთ ისინი უნდა ყოველისფერში შემწეობას აღმოუჩენდნენ პოლიციას.

დუბლინი, 21 აპრილს. გუშინ დაატუსაღეს დილლონი პარტალინგტონში და საღამოს ჩამოიყვანეს დუბლინში დასამწყვდევათ.

### პეტერბურღის ბირჟა, 23 აპრილს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 97 — | 50 |
| მეორესი — — — — — | 94 — | 25 |
| მესამესი — — — — — | 95 — | „ |
| მეოთხესი — — — — | 95 — | „ |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 93 — | „ |
| აღმოსავლეთის მეორე — | 92 — | 87 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 92 — | 87 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 7 — | 99 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | 90 — | „ |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკისა — | 90 — | 75 |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 224 — | 75 |
| მეორე სესხის — — — | 217 — | 50 |

| 1 მანეთი ღირს: | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 24 — 56 | პენსი |
| ბერლინი — — | 124 — 62 | პფენიგი |
| ჰამბურღი — — | 210 — | „ ცენტი |
| პარიჟი — — — | 259 — | „ სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

## ბათუმის ახალი გუბერნატორი

ტფილისი, 24 აპრილს.

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ ბათუმის გუბერნატორად, გენ.-მაიორის კამაროვის მაგიერად, დაინიშნა თერგის მაზრის უფროსის თანაშემწე გენ.-მაიორი სმეკალოვი. სხვა დრო და სხვა გუბერნიაში ამ გვარ გარემოებას, ერთის გუბერნატორის გამოცვლასა და მეორეს დანიშნვას, მაინც-დამაინც დიდი მნიშვნელობა არ მიეწერება. მაგრამ ბათუმის მაზრა ამ ჟამად ისეთს მდგომარეობაშია, იქაური ხალხი ისეთ ნაირად აღელვებულია, ყოველ ადმინისტრაციას იქ ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეს ჩვენთან ახლათ-შემოერთებული ხალხი, როგორც იმერლები ამბობენ, კანჭებში შესჩერებია რუსის ჩინოვნიკს და იმ ახალ წესებს, რომელსაც რუსის მმართებლობა ადგენს ახლა იქ. ყოველ ნაბიჯს, ყოველ ახალ განკარგულებას დაკვირვებით, ყურადღებით შესცქერიან და თუ რამე არ მოეწონათ, თუ დაინახეს, რომ იმათ გულის-პასუხს არ ეთანხმება ეს წესები და განკარგულება, თუ დაინახეს, რომ ადმინისტრაცია ხალხის სიკეთისათვის არ ზრუნავს, თუ დარწმუნდნენ, რომ პატივს არა სცემენ ხალხის ჩვეულებას, ხასიათს, იცრუებენ გულს, ჰყიდიან ან უპატრონოთ აგდებენ თავიანთ მამა-პაპეულ ადგილ-მამულს, სახლ-კარს, იკრავენ ბარგს და მიდიან ოსმალეთში, თუმცა კარგათ იციან, რომ იქ უკეთესი ბედი არ მოელის იმათ.

ამ ხალხის გადასახლებას უნდა მიაქციოს ახალმა გუბერნატორმა უმთავრესი ყურადღება. ყოველი ადმინისტრატორის პირ-და-პირი მოვალეობა, და განსაკუთრებით იმისთანა მხრისა, როგორიც ახალ-დაპყრობილის ბათუმის მაზრის ხალხისა, ის არის, რომ ხალხის კანონიერი მოთხოვნილება

---

«დროების» ფელეტონი, 25 აპრილს.

## LA CAUCASIE*)

*E. Reclus.*

(გამოკრება ელიზე რეკლიუს გეოგრაფიიდამ „კავკასია“)

სტატია მეორე.

### II

დასავლეთი კავკასია, ყუბანის ხეობა, აბხაზები, ჩერქეზები და შავი ზღვის ნაპირა ყაზახები.

აბხაზეთის ნაპირზე კავკასიის მთა უცბათ დაექანება ზღვისაკენ. ამ გვარის მთის ბრეკი არ თავდება ზღვის ნაპირზედაც. რო ცოტათ შეიწროს, გამ ჰეძიებელი დაინახავს, რომ შიგ ზღვაშიაც აწევს ეს დაღმართი. ჩერნიავსკის გამოზომით ზოგან ეს დაღმართი 3600 მეტრზე ჩადის... თითონ მთები ამ ნაპირის ახლო, მაღალი არიან; ზოგან 3000 მეტრზე სანიადაგო თოვლი სძევს.

ჯერ მთის გადაღმართი გადმოღმართთან არ არის შეერთებული. 1883 წლისთვის კი [illegible] ნაპირი ეს გზა, და, მანამდის პატარა ვიწრო გზას სჯერდებიან ზღვის გაყოლებით. ეს გზაც ხშირად ფუჭდება ხოლმე და მოგზაურებმა უნდა მისდიონ ინდო-ევროპიული ტელეგრაფის ძაფს.

მდინარეებს აბხაზეთში ბევრი წყალი არა აქვთ ზოგიერთა მაღალ ხეობას ეტყობა, რომ ძველათ იქ ტბები მდვარან.

აბხაზეთი ამწვანებულია მშვენიერი მცენარეებით. საუბედუროთ, ვიმრა აფუჭებს იქაურობას. ის რამდენიმე მეტრის სიმაღლე იზრდება აბხაზეთში, მერე შემოდგომაში დასცვივა და ხშირის წვიმისაგან ლპება; ამისგან ჩნდება ციება. ქარი არ არის ხშირი, არც ძლიერი, მაგრამ ჩრდილო-დასავლეთისკენ მთები იმდენათ მაღლები არ არიან, რომ ჩრდილოეთის ქარი შეაკავონ და ნოვოროსიისკის მახლობლათ ხშირათ ძლიერი ქარი ჰქრის. 1848 წ. ნოვოროსიისკის ნავთსადგურიდამ ზოგი ხვამალდები ნაპირზე გამოისროლა ქარმა და ზოგი შუა ზღვაში შეიტანა.

ჩრდილო ნაპირი კავკასიის მთებისა, ამ ადგილზე, სულ მთლად ეკუთვნის ყუბანის ხეობას. ამ ხეობაში ყუბანი ხშირათ გადადის და ზოგჯერ მთელი კილომეტრობით წყლით ავსებს. თითონ ყუბანზე თფილისის სტანიცამდის, ორი-ოდე ვერსტი, პატარა პარახოდები დადის.

ამ ადგილსავე კავკასია თავდება ცალ-კუნძულით, ტამანით. ეს ცალ-კუნძული (როგორც მეორე ცალ-კუნძული, რომლითაც თავდება კავკასია კასპიის ზღვაში) ჯერ კიდევ ვოლკანიურ საქმობაში არის. აქ ხან გამოჩნდება კუნძული ზღვის ნაპირათ, ხან ისევ ჩაიმალება; აქვე არის სამკურნალო ჟიბილი ლაფი (ახტალა) და ნავთის წყაროები. აქაური ნავთის წყაროები დაურიგდა რუსის ჩინოვნიკებს 1870 წელს ექვსი წყაროდამ იღებდნენ დღეში 170,000 ლიტრას. ხშირად, როგორც რომელსამე ადგილს, საცა ნავთი ეგულვებოდათ, ჩაბურღავდნენ, ნავთი 15 მეტრზე მაღლა შადრევანივით აისხმებოდა.

არც ერთ ქვეყანაში, დედა-მიწის ზურგზე, არ ცვლილა იმდენათ ზედ მცხოვრები ხალხი, რამდენათაც ყუბანის ხეობაში; არც ერთ ქვეყანას არ უხდება „სისხლის ქვეყნის“ სახელი იმდენათ, რამდენათ ყუბანის ხეობას. ამ საუკუნის ნახევარს აქეთ ამ ადგილიდამ აღიხოცა მკვიდროვანი ხალხი და სხვა რასსის ხალხები მოვიდნენ მათი ფუძის დასაპატრონებლათ... ენა, ზნე, ტრადიციები დაიკარგნენ სამუდამოთ; სხვა და სხვა ქვეყნებში გაფანტული ამათ ნაწყვეტებში ვის შეუძლია დღეს იპოვოს ის ზნე და ის სასოება, რომელიც ხალხის სულს შეადგენდნენ. ძველთაგან დარჩა მარტო გეოგრაფიული ტერმინები, უცხო ტომთ პირში გადაფუჭებული...

ჩ ე რ ქ ე ზ ე ბ ი იყვნენ ამ ადგილების მცხოვრებნი. 1859 წელში პაული სწერდა, რომ იმათი რიცხვი ნახევარი მილიონი არისო; 1864-ში იყო 300 ათასი. დღეს ამ ხალხიდამ დარჩა მარტო რამდენიმე სახლობა... აბხაზები რუსის ქვეშევრდომნი იყვნენ 1810 წლიდამ და ისე გაქრნენ, როგორც ჩერქეზები. 1864 წ. ამათი რიცხვი იყო 150 ათასი; უკანასკნელი ომის წინათ ამ რიცხვს ორი წილი მოაკლდა. 20 ათასი მათგანი გადასახლდა შემდეგ ომის გათავებისა. მხარე ცოტ-ცოტათ დაიცალა. *Le vide s'est fait pour recevoir la population russe.*

ჩერქეზებს საშინელი ბედი ეწიათ. 1864 წელში რუსის მმართებლობამ გამოსცა ბრძანება—ვინც სრულათ არ დაემორჩილებოდა მმართებლობას, გარდასახლებულიყო იმპერიიდამ. იმათ დაუნიშნეს ერთი თვე, რომლის განმავლობაში თუ არ გარდიხვეწებოდნენ, მმართებლობა იმათ მოექცეოდა, როგორც სამხედრო ტყვეს.“ ჩერქეზები დაუმორჩილდნენ რუსის მთავრობის განკარგულებას და პირველს ექვს თვეში 260 ათასმა კაცმა დასტოვა თავის მიწა-წყალი; წავიდნენ ზოგი ევროპიის ოსმალეთს, ზოგი

---

*) იხილე „დროება“ 81 №- რი.

გაიგოს და ეცადოს იმის დაკმაყოფილებას.

რამდენათაც ჩვენ გაგვიგია, ბათუმის მაზრის ხალხის უპირველესი მოთხოვნილება არის: ხელი მოუმართოს მას მთავრობამ იმ გაჭირებაში, რომელშიაც ომის შემდეგ და ომის წყალობით ჩაცვივდნენ; დაცული იქმნენ ზოგიერთ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა უკანონო მოქმედებისაგან; მიეცეთ მათ მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება და უყურონ იმათ ისე, როგორც ნამდვილ ადამიანებს, და არა ველურ ხალხს, მხეცებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბ-ნი სმეკალოვი, რომლის ქება ჩვენ ბევრისაგან გაგვიგია, ყველა ამას კარგათ მიხვდება და გულ-მოდგინეთ ეცდება, რომ ამ გაჭირებულ, მოძულებულ ხალხს რითაც შეუძლიან ხელი მოუმართოს, შევიწროებული ცხოვრება შეუმსუბუქოს და გაათავისუფლოს ზოგიერთ უსინიდისო ჩინოვნიკების შევიწროებისაგან.

თუ ეს მოახერხა და შეასრულა, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იმან შეასრულა თავის ნამდვილი დანიშნულება, მაშინ ის დაიმსახურებს ხალხის მადლობასა და თანაგრძნობას და ეს არის საუკეთესო ჯილდო ყოველ ხალხის მმართველისათვის...

## ახალი ამბები.

„დროების“ რედაქციის კანტორაში მიიღება ხელის-მოწერა მიცვალებულ ხელმწიფე-იმპერატორის ალექსანდრე II-ის სახსოვრად გასამართავ ბავშვების თავ-შესაფარ სახლის შეწირულობისათვის.

* * *

ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ თ. აკაკი წერეთელი ამ დღეებში აპირებს იქ წაკითხვას იმავე ლექციებისას („ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ), რომელიც ამას წინათ ჩვენს ქალაქში წაიკითხა.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ძლიერ კარგი აზრია და ქუთაისის საზოგადოება, რომელსაც ამ დღეებში სოფლებიდამაც ჩამოსული თავად-აზნაურობა მოემატება, დიდის სიამოვნებით მოისმენს ჩვენი ნიჭიერი მწერლის საამო და საყურადღებო საუბარს იმისთახა ყველა ქართველისათვის საინტერესო საგანზედ, განძზედ, როგორც „ვეფხვის ტყაოსანი“.

* * *

ქუთაისიდამვე გვაცნობებენ, რომ იქაურ სადგილ-მამულო ბანკს შარშანდელი წლის ანგარიშიდამ 18,000 მანეთი შემოსავალი დარჩენია (45%) საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ ფულად. ამ ფულიდამ, ხსენებულ ბანკის გამგეობის წინადადებით, 8,000 მან უნდა გადიდვას ადგილობრივ სააზნაურო სკოლის სასარგებლოდ, 5,000 მან. მომავალ კავკასიის უნივერსიტეტის შესაწირავად (იმ 20,000 მან. შესავსებლად, რომელიც ბანკმა შესწირა ამ საგნისათვის), 1,200 მან. საქალებო გიმნაზიისათვს, 1,000 მან. ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისათვის, 200 მან. ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისათვის, 1,000 მან. ქართველ სტუდენტებისათვის და 1,000 მან. ბროსსეს პრემიისათვის.

ამ საგანზე ამ მოკლე ხანში ჩვენ უფრო დალაგებით გვექნება ლაპარაკი.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ქუთაის სადგილ-მამულო ბანკის გირაოს ფურცლები უკანასკნელად 89 მანეთად გაყიდულა.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

თერგის ხეობიდამ, 22 აპრილს. ჩვენი „ხევის“ მცხოვრებნი არ იქნებოდნენ ზოგიერთა სხვა ქვეყნების ხალხებზედ უკან ჩამორჩომილნი ისე, როგორათაც ჰხედავთ და არიან დღეს, უკეთუ ყურადღებას აქცევდნენ დროთა ვითარებას და მისდევდნენ მას კვალზე. მაგრამ, საუბედუროთ, ესენი უფრო აქცევენ ყურადღებას და მისდევენ თავიანთ წინა-პართაგან დარჩენილს ანდაზებს და აგრეთვე საზოგადოთ ყველას დამღუპველს და მაზარალებელს ჩვეულებებს.

მაგალითად, მრავალი ამათგანნი უკანასკნელს სიღარიბეში ჩავარდნილნი არიან მიცვალებულების დასაფლავებაში უზომოთ ბევრის ხარჯის მიზეზით.

ამ შემთხვევაში ღარიბებს მდიდრებთან დიდი განსხვავება არაფერი აქვსთ, ორივენი თანასწორ იქცევიან უმეტ-ნაკლებოთ.

რადგანაც ჩვენი „ხევის“ მცხოვრებთ ჩვეულება და ადათი ყველაფერი ბ. მოჩხუბარიძემ დაწვრილებით მოიხსენია „დროებაში,“ ამისათვის ამ საგანზე ლაპარაკს თავს ვანებებ, ხოლოთ მოვახსენებთ იმას, რაშიაც მდგომარეობს საქმე:

5-ს რიცხვს ამ აპრილისას, მოიტანეს გვამი განსვენებულის ბ-ი ბოგ-შვილისა, (რომელიც იმყოფებოდა ამ ჩამთრობით ვლადიკავკაზის ოკრუგში, თავის მსხვილ-ფეხის საქონლის გამოსაკვებავათ და იქვე გადაიცვალა) და დაასაფლავეს თავის სამშობლო სოფ. ხურთისში. როდესაც მოჰქონდათ ხსენებული მიცვალებული ჭირის-უფალთ, მაშინ გზაზედ ცხენის ნალი უპოვნიათ, აუღიათ ეს ნალი და მიცვალებულთან კუბოში ჩაუდვიათ, მერე დასაფლავების დროსაც აღარ მოაგონდებათ და ნალი თან ჩაჰყვება მიცვალებულს. შემდეგ დასაფლავებისა მოიგონებენ ჭირისუფალნი, რომ ნალი თან ჩაჰყვა და შეჰქნიან დიდი-მწუხვარებას, (რადგანაც მოხევეთ-შორის ზოგიერთა პირთ მიცვალებულს რომ რკინეული რამე ჩაჰყვეს, წინა-ალმზდეგათ მიაჩნიათ); ამ შემთხვევაში აღმოსჩნდებიან ისრეთნი პირნი, რომელნიც ურჩევენ ჭირისუფალთ საფლავის შერყევას და ერთი კვირის დასაფლავებულის მკვდრის

---

ანატოლიას, ზოგი კვიპროს და სხვა ოტომანის იმპერიის ადგილებს. ოფიციალური ცნობით სჩანს, რომ 1858 წლიდამ 1864 წლამდის გადასახლებულა 398 ათასი ჩერქეზები. ვინ ჩამოთვლის, ვინ აღწერს ამ „გამოსვლათა“-ს ამბავს ყველა იმ მწუხარებას და უბედურებას, რაც ამ საწყალმა ხალხმა გამოიარა...

მხნე და რაინდული ტრადიციების მქონი ჩერქეზი უბრალო საქციელისაა და პატრიარხალური ზნეობის, წელ-წვრილი და ფართე მხარ-ბეჭიანი; წოწოლა ლამაზი პირის-სახე გარშამოცულია შავი თმებით და მკვირცხლი თვალებიდამ გამოკრთის ელვა. მისა ტან-საცმელი—ჩოხა—ლამაზათ უხთება და სხვებისთვისაც გახდა ნაციონალურ ტანისამოსათ. მშვიდობის მოყვარე ურიებმაც კი შეიმოსეს ეს ტანისამოსი, თუმცა ჩოხის საქილეები იმათვის სულ გამოუდეგარია.

ჩერქეზები, უეჭველათ, იმავე რასსის არიან, რომლისაც არიან ქართველები, ლეკები და ჩაჩნები; მათი არიელების მიჩემება ძნელია.

შურის-ძიება ჩერქეზებში სამღრთო წესათ მიაჩნიათ სისხლს მარტო სისხლი დაბანს, მათ რომ კითხო. მტრობა ხანდის-ხან დგმიდამ დგმამდე გადადის, მაგრამ ამ შურის-ძიების დროს სვანებსავით ქვის შენობაში კი არ იმალვიან ჩერქეზები; ისინი გაშლილ ადგილებზე უხვდებიან ერთმანერთს, რადგანაც მარტო მკლავის იმედი აქვთ. საცოლო უთუოდ უნდა მოიტაცონ. შვილებს ძიძას აზრდევინებენ. ამ გვარათ გაზრდაზე აი რას ამბობს რეკლიუ:

„მშობლები არ ენდობიან თავისთავს; იმათ ეშინიათ ქალაჩუნობით გა ფუჭონ შვილები და ეძებენ მათთვის სხვა მამებს, რომელთაც უნდა ასწავლონ ცხენი და თოფ-იარაღი და აგრეთვე ცხოვრების წესები და კარგი ლაპარაკი. როდესაც ყმაწვილი კაცის აღზრდა გათავდება; ის მიდის დედ-მამასას, მაგრამ თავის მორდუს ხედავს ისე, როგორც საკუთარ მამას“, სწორეთ ისე, როგორათაც არის ეხლა სამეგრელოში და აბხაზეთში.

ჩერქეზები დაყოფილი არიან სამ კასტად: თავადებათ, აზნაურებათ და გლეხებათ. ამათ გარდა არიან მსახურნი. მღვდლებს დიდი გავლენა არა ჰქონდათ რა, თუმცა აზნაურთან გასწორებული იყვნენ. მათი სარწმუნოება შერეული იყო: ისინი წარმართნიც იყვნენ, ქრისტიანიც და მაჰმადიანებიც. როგორც წარმართები, თაყვანსა-სცემდნენ ჰექა-ქუხილის, ომის და სიმართლის ღმერთს—ხაბლეს; ჰაერს, წყალს, ტყეს, პირუტყვებს ყოველს ჰყავდა სათვითაო ღმერთი...

ა ბ ხ ა ზ ი—ბერძნების აბაზი—თავის-თავს აბსუას ეძახის. აბსუა ნიშნავს „ხალხს.“ ის ჩერქეზზე უფრო დაბალია და უფრო შავგრიმანი; მისი ენა ჩამოგავს ჩერქეზის ენას, მაგრამ ეს ორი ხალხი სხვა და სხვა ზნისა არის. აბხაზი ჩერქეზზე ნაკლეთ არის მხნე, თუმცა ამასაც თავის ლეკურის იმედი აქვს. სანამ შავი-ზღვა რუსის ზღვათ გახდებოდა, აბხაზები ბარკაშებით დასცურავდნენ ზღვის ნაპირათ: მიდიოდნენ ყირიმს, ოსმალეთს, ეგვიპტეს... ამათაც თავად-აზნაურები ჰყავდათ, თუმცა ხალხი თავისუფალი იყო. ესენიც ნახევარ წარმართები და ნახევარ ქრისტიანე—მაჰმადიანები არიან. იმათი ტაძარი რამდენათაც ეკკლესია იმდენათ ტყე არის... რუსების მოსვლამდის იმათ არ იცოდენ ფული; სავაჭრო ნიშნათ ძროხა იყო, სარგებლათ ხბო.

აბხაზეთში რამდენიმე ათასი აბხაზი-ღა დარჩა, მთის მაღლობზე. ამ მაღლობიდამ ძველადვე სამხრეთისკენ ეჭირათ აბხაზებს თვალი; იქიდამ საქართველო უგზავნიდა იმათ თოფ-იარაღს, ფარჩას და სალიტერატურო ენას. „ეხლა კი იძულებულნი არიან უყურონ ჩრდილოეთს, საიდამაც მოსდით იმათ უქაზები, ჯარი და კოლონია, რომელმაც უნდა დაიჭიროს მათი ადგილი. *(Ils sont maintenant forcés de regarder vers le nord, d'ou viennent les oukases, les armées et les colons qui doivent les remplacer).*

აბხაზეთში დიდი ქალაქები და სოფლები არ არის. სოხუმი უბრალო სოფელია, თუმცა ძველათ, როგორცა სჩანს, დიდი ქალაქი ჰყოფილა. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ეს ქალაქი იყო დიოსკურია, რომელსაც შემდეგ სევასტოპოლი დაერქვა. ზღვის ნაპირათ, წყლის ქვეშ, დღესაც პოულობენ, სოხუმს, ძველი ქალაქის ნაშთ შენობას. მაგრამ უფრო ჩრდილოეთის ნაპირზე უნდა იყოს დიოსკურია, დაახლოვებით ისკურიას ახლოთ. სოხუმს ჩრდილოთ, სჩანს, ყოფილა გაყვანილი კედელი, რომელსაც, როგორც ამბობენ სამოცი მილი სიგრძე ჰქონდაო. ეს კედელი, ამბობენ, მეხუთე საუკუნეში არის გაყვანილიო...

ბიჭვინტაც დიდი ქალაქი იყო. ბიჭვინტის ტაძარი იუსტინიანეს აშენებულად მიაჩნიათ 551 წელში. აქ მოდიოდნენ ბერძნები, რომელთაც მთელი მხრის განათლებაში მიიღეს დიდი მონაწილეობა.

ადგილი არა მაქვს ვილაპარაკო: ტამანზე და მის სხვა-და-სხვა მცხოვრებზე მეათე საუკუნიდამ, აგრეთვე ყაზახებზე და მათ სტანიცებზე, ანაპაზე, ბაგრაზე, ეკატერინოდარზე, სტავროპოლზე, მაიკოპზე და სხ. და სხ...

### III

### ცენტრალური კავკასია, თერგის და ყუმასი ხეობა.

ამ ნაწილში არის იალბუზი და მყინვარი. იალბუზი თათრული სიტყვაა, ნიშნავს „ყინულის ფაფარს“. იმის მწვერვალზე აქვს ტახტი, რომელზედაც განისვენებს „ქვეყნის ღმერთი ანუ მეუფე სულთა“, როგორც ფიქრობენ თათრები. მყინვარს ზო-

ამოღებას. ჭირის-უფალნიც ამ რჩევას ასრულებენ მკვდარს ამოიღებენ საფლავით, ახდიან კუბოს სახურავს, და ამოიღებენ ნალს, და მერე ისევ დაასაფლავებენ.

აი მხეცური საქმე და უფიქრებლობა! თუ ნალი რკინა იყო და წინა-აღმდეგი საქმეა მისი ჩატანა კუბოში, თვითონ ეს კუბო რითი-ღა იყო შეკრული, თუ არ ლურსმით და ლურსმანი იგივე რკინაა!..

გაბ. ბედოშვილი.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! წლევანდელ „დროების“ № 70-ში დაბეჭდილია „ერთი სახელმძღვანელოს წარმომდგენელის“ წერილი, რომელშიაც ავტორი აცხადებს სურვილს შეიტყოს რა მდგომარეობაშია „წერა-კითხვის საზოგადოებაში“ წარმოდგენილი სახელმძღვანელოების საქმე და ან ვის ჩაბარდა ისინი გასასინჯავად.

პასუხად ამ წერილისა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მმართველობა საყოველთაოდ აცხადებს:

საზოგადოების მმართველობას წელს წარმოდგენილ ექმნენ საპრემიოთ რამოდენიმე სასკოლო სახელმძღვანელოები სხვა-და-სხვა სასწავლო საგნებისა. ეს სახელმძღვანელოები მმართებლობამ დაურიგა რამდენსამე მცოდნე პირთ გასასინჯავად, რათა, ბეჯითი გასინჯვის შემდეგ, მათ წარმოუდგინონ მმართველობას წერილით ვრცელი და საბუთიანი აზრი გასინჯულს თხზულებებზედ. ვინ არიან ეს პირნი, მმართველობა არ ხედავს საჭიროდ გამოაცხადოს, რადგან ასეთს მძიმე პასუხის-საგებელ საქმეში, როგორც სასკოლო სახელმძღვანელოების ღირსეულად დაფასებაა, მმართველობას ჰსურს შეიტყოს თავისუფლად და მოურიდებლად გამოთქმული აზრი.

ამის გარდა, მმართველობამ საჭიროდ ნახა, რომ წარმოდგენილს თხზულებების დაფასებაში, განსაკუთრებით ერთის რომელსამე პირის აზრით კი არ იხელმძღვანელოს, არამედ ეს აზრიცა და თხზულებებიც დაურიგდეს სათითაოდ ყველა მმართველობის წევრს გასახილავად და მას უკან მმართველობამ გასინჯოს და თავისი საერთო აზრი დაადგინოს.

ამ უკანასკნელი მიზეზის გამო ხსენებული სახელმძღვანელოების განხილვა ვერ მოხდება ისე სწრაფად, როგორც, ჩვენთვისაც და საზოგადოებისათვისაც სასურველია.

საზოგადოების საქმეთ-მწარმოებელი
კ. ნაცვლიშვილი.

## ნარევი

ერთს ამერიკულს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ბიოგრაფიული ცნობანი ამერიკის შეერთებულ შტატების ახლანდელს პრეზიდენტს გარფილდზედ.

14 წლამდე ის იყო ხელოსნის შაგირდათ; 16 წლიწადი რომ შეუსრულდა, გემზედ მოსამსახურე ბიჭად შევიდა; 18 წლისამ დაიწყო ჩესტერის აკადემიაში სწავლა და 21-სამ გახდა სკოლის მასწავლებლად; 23 წლისამ შევიდა უმაღლეს სასწავლებელში — უილლიამ კოლლეჯში; 26 წლისამ ჩინებულად დაიჭირა ეგზამენი სამეცნიერო ხარისხის მისაღებად და დაინიშნა მირამის კოლლეჯის მასწავლებლად; 29 წლისამ მიიღო ოგაიოს შტატის უმცროსი სენატორობა და 31-სამ—ბრიგადის ღენერლობა. სამხრეთელების წინააღმდეგ ომებში იმან ორჯერ გამოიჩინა თავი (მიტსბურგთან და კორინთის ალყის შემორტყმის დროს); 32 წლისამ მიიღო კუმბერლენდის მხედრობის შტაბის უფროსობა; 33 დაინიშნა შეერთებულ შტატების კანონ-მდებელ კრების წევრად; 48 წლის დაინიშნა სენატორად და წრეულს ამორჩეულ იქმნა რესპუბლიკის პრეზიდენტად.

ერთი მინისტრთაგანი ამავე დიდებული რესპუბლიკისა—ფინანსთ მინისტრი ვილლიამ ვინდომი სიყმაწვილეში უბრალო ხიზანი იყო და სახელი დავარდნილი ჰქონდა როგორც ნაჯახის მარჯვედ მომხმარებელს. განათლება მიიღო თვითსწავლითა და საზოგადო ასპარეზზედ პირველად გამოვიდა 53 წლისამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

პორტუგალიის მეფეს ინგლისურიდამ პორტუგალიურს ენაზედ გადმოუთარგმნია შექსპირის ყველა თხზულებანი. მცოდნე კაცები ღირსეულ თარგმანად სთვლიან მეფის შრომას. ერთს გამომცემელს უკვე უყიდია მეფისაგან ამ თარგმანის გამოცემის უფლება 125,000 ფრანკად.

* * *

ქუთაისის ქალაქის ბაღში ერთი ხნიერი აზნაური ჰზის, რომელიც სოფლიდამ ჩამოსულა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის არჩევანზე დასასწრებლად. ამ დროს მას მიუახლოვდება ერთი ნაცნობი „სერთუკიანი“ ახალ-გაზდა კაცი და საუბარს უმართავს. ცოტა ხნის შემდეგ ხნიერი აზნაური ჰკითხავს:

— თუ ძმა ხარ მითხარი, ვის დასს (პარტიას) ეკუთვნი?

ახალ-გაზდა კაცი წამოწითლდება და მიუგებს:

— არ მინდოდა, ღმერთმანი, გამემხილა, მაგრამ... რადგანც თვითონ მკითხეთ... თუ ნებას მომცემთ... თქვენს უმცროს დას... იმედია, რომ....

— ჰაით, დამეკარგე იქით! ღმერთმა შენც შეგარცხვინოს, ვის დასაც შენ ეკუთვნი და ვინც შენ და მოგცეს! მიაძახებს ცალკე სიცილით და ცალკე გულმოსვლით დამონავებული აზნაური.

---

გიერთები ეძახიან „ბეთლემის ან ქრისტეს მწვერვალს“. მყინვარის ახლო არის შეანიშნავი მღვიმე, საიდამაც მეუდაბნოე ადიოდა რკინის ჯაჭვით „ქრისტეს აკვნამდის“ და „აბრაამის კარავამდის“...

სხვა მდინარეთ შორის უპირატესობა აქვს თერგს. თერგი მრავალწყლიანია. რომ არხი გაიყვანონ, ეს წყალი საკმაო იქნება კასპიის ზღვის შავ ზღვასთან შესაერთებლათ. ინჟინერი დანილევსკის პროექტიც ამ გვარია.

ილბუზსა და მყინვარს შორის ჩრდილოეთის მხარე კავკასიისა უჭირავს ყაბართოს.

ყაბართელები ჩერქეზებს ნათესაობენ; ისინი ისე ლამაზი, ისე ცქვიტი მიხრა-მოხრის და ომის მოყვარენი არიან, როგორც ჩერქეზები. იმათი თავადები არაბეთიდამ ჩამომავლობას ჩემობენ. შეიძლება ხალხი ყირიმელი თათრებისგან გადმოსახლებული იყოს. იმათ მიწა არა აქვს გაყოფილი; სახნავ-სათესი, თუ საძოვი ადგილი საზოგადო კუთვნილებაა,—თითოეულს იმდენი ეკუთვნის, რამდენის შემუშავებასაც მოასწრებს.. საცოლოს მოტაცება წესათ აქვსთ.

იმათი რიცხვი არის 32 ათასი. ძველათ კავკასიის გადაღმა ხალხებში იმათ პირველი ადგილი ეჭირათ, მაგრამ ისეთ გეოგრაფიულ მდებარებაში მოემწყვდრივნენ, რომ რუსებმა ადვილათ დაიპყრეს. იმ საუკუნეში ბევრი გადავიდა თერგის შუა ხეობაში, მაგრამ უმეტესი ნაწილი იქვე დარჩა, სადაც წინათ იყო. იმათ შორისაა რომ არჩევდნენ უკეთესს „ჩერქეზებს“ რუსეთის იმპერატორების კანვოისთვის... ამ ადგილზე ყაბართელებს გარდა მოსახლობენ ურიები, ნემეცები, ნოღაები, ოსები და სხ.

ოსები ერთი ოთხად უფრო მეტი სახლობს მთის გადმოღმა, რიონის და მტკვრის ხეობაში. იმათი ოფიციალური რიცხვი არის ას-ორიათასი. სწავლულებმა და ისტორიკოსებმა შესახებ ოსებისა სხვა-და-სხვა თეორიები მოიგონეს. ერთი ამბობს, რომ ისინი ალანების ჩამომავლობა არისო, მეორე ფიქრობს, რომ ყველაზე უფრო წმიდა კავკასიის არიელებიაო; ზოგიერთით ისინი გერმანიელების ძმები არიან, ზოგისთვის—სპარსელების; ვ. ს. მარტენით აზები არიან, პფაფით—სემიტები. თუ მივხედავთ, რომ ოსებში ყოველ გვარი პირის-სახე არის, გამოთქმელად მშვენიერის პირის-სახიდამ ყოვლად უშნომდის, უნდა ვიფიქროთ, რომ ოსები სხვა-და-სხვა ხალხების ნარევი უნდა იყოს. იმათში ქართველიც არის, სომეხიც, ყაბართოელიც... ოსები ყველაზე უფრო უშნო ხალხია კავკასიაში. იმათი ენა, ხალხის ნარეობის მიუხედავათ, უეჭველია, არიელ ენებს ეკუთვნის. თითონ ისინი თავის თავს ირონებათ უწოდებენ.

ზოგიერთი ჩვეულებით და შინაურ მოწყობილებით ოსები დასავლეთ ევროპის ხალხს მოგვაგონებს. იმათ აქვს სტოლი, სკამი, ქვეშ-საგები, იციან ევროპიული სალამი, კოცნა, ხელის-ჩამორთმევა და, რაც უფრო ყველაზე მძიმე საბუთია ნემეცებისათვის, იციან ლუდის გამოხდა.

ინდო-ევროპიულ რასსას კი იმდენს ვერაფრათ ასახელებენ ოსები. სხვა მთიულებზე უფრო უშნო, ოსები არც მხნეობით და სხვა ღირსებით არიან საქებნი. ძველიდამვე ისინი ყიდდენ თავის თავს იმას, ვინც უფრო მეტს შეაძლევდა; ისინი ხან ქართველების ლაშქარში ერივნენ, ხან რომაელების და ხან სპარსელების. ომის ჩვეულებამ იმდენათ გარყვნა ხალხი, რომ ომიდამ დაბრუნებულზე მარტო ერთმანერთის და მოგზაურების ცარცვაში ატარებდნენ დროებას. მათი ღმერთი იყო მტაცებლობის ღმერთი—საუბარგ-ი.

ოსები ეხლაც მტაცებელნი არიან, თუ შემთხვევა აქვთ და გულიც დააჯერეს რომ კაცის-კვლა და ცარცვა შერჩებათ; ხელიც არ განძრიეს, როცა უნდა დაეცვათ თავისი თავისუფლება რუსებისვან. იმათ ეჭირათ ცენტრალური ხეობა კავკასიისა და მაშასადამე უკეთესი სტრატეგიული პუნქტი, მაგრამ უბრალო ხმაც არ ამოიღეს როცა აღმოსავლეთით და დასავლეთით ჩერქეზები და ლეკები თავის დამოუკიდებლობისთვის სისხლით ინთხეოდნენ... ნაცვლად იმისა, რომ სამღრთო ომში დაეჭირათ პირველი ადგილი, რომელიც იმათ რიგით ერგებოდა ოსებმა უცადეს, სანამ ძლევა დარჩებოდა რომელსამე მხარეს...

ოსები მაჰმადიანები იყვნენ; ეხლა ქრისტიანობენ და პატივს-სცემენ წ. ნიკოლოზს და ილია წინასწარმეტყველს. უკანასკნელს ათ საუკუნეში იმათ სამჯერ გამოიცვალეს სარწმუნოება.

ყაბართოელებს და ოსებს გარდა ასაწერ ადგილში სცხოვრობენ ნოღაელები. ესენი ნამდვილი აზიელები არიან. სტავრაპოლის და ასტრახანის ყალმიკებსავით სცხოვრებენ კარვებში, და როცა საქონლის საძოვარი ადგილი უნდა გამოიცვალონ, წვრილ-შვილებს ჩასხამენ კალათებში, აკიდებენ პირუტყვებს და მიდიან სხვა ადგილის საძებრათ.

შემდეგ აწერილია პიატიგორსკი, გიორგიევსკი, კავკავი, ეკატერინოგრადი, მოზდოკი, გროზნი, ყიზლიარა და სხვა ადგილები. იმათ ასაწერათ, როგორც ხედავთ, ადგილი არ დამირჩა.

ი. მეუნარგია.

# განცხადებანი

—

თბილისის ქალაქის გამგეობამ ხელ-ახლათ დანიშნა ვაჭრობა შეთხაინის წყლის მილების გასაყვანათ. ტორგი იქნება 25 აპრილს. ვისაც სურს პოდ-რიადის აღება, ვსთხოვთ მობრძანდნენ ქალაქის რჩევაში ზემოთ დანიშნულ დროს. პროექტი, სმეტა და პირობა შეუძლიანთ ნახონ უპრავაში ყოველ დღე 11 საათიდამ 2 საათამდის. (2—2)

---

სახელმწიფო ქონებათა, ტყეთა, სამეურნო და სავაჭრო საქმეთა სამ-მართველო საჭიროდ სთვლის საზო-გადოთ გამოაცხადოს, რომ სავაჭრო ხელოვნებითი გამოფენა მოსკოვში უმაღლესის მთავრობის ნებადართვით, გადაიდვა მომავალ 1882 წლამდე და ამისთვის დაარსებული დამხმარებელი კომიტეტი ამ გამოფენისა სთხოვს ბ. ბ. ექსპონენტებს შეაჩერონ ნივთების გამოგზავნა, როგორც პირ-და-პირ მოსკოვში გამოფენაზედ, აგრეთვე თბილისის ქალაქში დამხმარებელ კო-მიტეტის სახელზედ.

დაწვრილებითი ცნობები შესახებ მომავალ წლის გამოფენისა და ნივ-თების გამოგზავნის პირობებიც იქმნე-ბიან თავის დროზედ გამოცხადებულ-ნი.

სახელმწიფო ქონებათა სამმართვე-ლო სთხოვს ყველა იმ პერიოდული ჟურნალ-გაზეთებს კავკასიაში, რო-მელთაც დაბეჭდეს პირველი განცხა-დება კომიტეტის მოქმედებისა, და-ბეჭდონ ეს განცხადებაც. (3—2)

---

მასწავლებელი ქალი,

რომელმაც სწავლა შეასრულა ერთ თბილისის სასწავლებელში, აძლევს გაკვეთილებს, ამზადებს ყმაწვილებს ყველა სასწავლებელში და მიიღებს მსურველთ სადგომზედ, რომელნიც იყლიან-3 მან. და რომელნიც მუდამ ბინათ ყველაფერს დამზადებულზედ-23 მანეთად. ადრესი: მესამე ნავთლუ-ღის ქუჩა № 20, სარქისოვის სახლე-ბი, ჭავჭავაძის ქუჩით. (3—2)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი პოკროვილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-გალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიდანებისა, შო-კოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონი-სა, შრო გებისა, ცხვირ-სახოცისა, ქა-ღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, ქინა-გრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩე-ვინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მა-კინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამფ. მუ-რაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდე-ბისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავახის იგარები. (100—52)

---

„განმგებელი კომიტეტი თბილი-სის გუბერნიის თავად აზნაურთა საზოგადოებისა, შეუძლებელ მოს-წავლეთა შემწეობისათვის“ ამით აცხადებს რომ ამ წლის 27 აპრილს დილის 10 საათზედ თბილისის გუბერ-ნიის თავად-აზნაურთა სააdგილ-მამულო ბანკის სადგომში იქნება საზოგადო კრება „საზოგადოების“ წევრთა.

განსახილველნი საგანნი:

ა) ანგარიში განმგებელი კომიტეტის წარსული წლის მოქმედების შესახებ.

ბ) კომიტეტის წინადადება სკოლის-თვის საკუთარი სახლის შეძენის თაობა-ზედ. (5—4)

---

რადგანაც დამტკიცებულ იქმნა „შეუძლებელ მოსწავლეთა დამ-ხმარებელის თბილისის გუბერ-ნიის თავად-აზნაურთა საზოგა-დოების“ შესწორებული წესდება, რომლის მალითაც თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სა-ადგილ-მამულო ბანკის დამფუ-ძნებელიც ჩაირიცხნენ მო-ხსენებული საზოგადოების წევ-რებათ, ამის გამო საზოგადო-ების კომიტეტი მოიწვევს მა-თაც ამ აპრილის 27 ს საად-გილ-მამულო ბანკის სადგომში, სადაც აღნიშნულ რიცხვს უნდა მოხდეს საზოგადო კრება მოხ-სენებულის საზოგადოების წევრ-თა. (2—1)

---

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ კონნო-ჟანდარმის კა-მანდირისათვის საჭიროა სადგომი ვერა-ზე, შვიდი ოთახი, თავის სამზარე-ულოთი, სარაით და ეზოთი 400 ოთხ-კუთხ საჟენით, ექვსი წლის ვა-დით. სადგომის ქირას ქალაქი 850 მანეთს მისცემს წელიწადში.

მსურველს შეუძლია მიმართოს ქა-ლაქის გამგეობაში (უპრავაში) მუ-დამ დღე, დილის 10 საათიდამ ნა-შუადღევის 2 საათამდის გარდა უქმ. დღეებისა. (3—2)

---

# ქუთაისში

„ივ. ნიკოლაძე და შვილების“ მოდის მაღაზიაში მიღებულია სხვა და სხვა ნაირი საქონელი სადღესასწაულოდ რომელიც 25° ნაკლებ იყიდება ვიდრე სხვა მაღაზიებში. იქვე იყიდება ქორფლის წამალი და გამაშვე-ნიერებელი ლეკანდეს. (10—10).

---

სწავლა გამოჭრისა და შეკერვისა,

ახალი ხელოვნებით დახაზვის შუამავლობით.

იქვე მიიღებენ ქალების და ყმაწვილების ტანისამოსის შე-კერვას, ზომის აღებას და გა-მოჭრას; ისყიდება ახალ მოდის სახენი გამოჭრილებისა შეპირე-ბული ზომისა და დააწყობინ ზინგერის მაშინაზედ. აგრეთვე ასწავლიან შეუძლებელ-ყმაწვილ ქალთა, რომლის პირობაც შეი-ძლება შეიტყოთ კუკიაში, ნიკო-ლაევის ქუჩაში № 87. (10—6)

---

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 12, კომერ-ციულ ბანკის ქვეშ, ... წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუ-კეთესო ინგლისის საქონლებისა, მა-გალითად: თოფების, რევოლვერების-სა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიე-ლი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროტკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—53)

---

**სუფრის მოწყობილობა**, სასუ-ფეები, ჩაის სერვიზი და სხვ. ბრიტა-ნიის მეტალისა. მურაბა და სხვ. იაფად **ინგლისის მაღაზიაში**. (10—6)

---

# თბილისის ქალაქ. გამგეობისაგან

თბილისის სამოქალაქო გამგეობა მოიწვევს მსურველთა, რო-მელნიც მიიღებენ თავის თავზედ მოიტანონ და დააწყონ მდ. მტკვარზე გასაკეთებელ რკინის ხიდის ნაწილები. ხიდი უნდა იქმნეს სამ ფერმაზედ, ოთხი რასკოსის სიმეტრიული სისტემი-სა თავის დასაჭედით, ზევით სატარებელით, ქვის ბოძებზედ; ხიდს ქვეშ ერთი გასავალი იქნება სიგრძით 159 ფუტი ბო-ძებს შუა. ტროტუარები უნდა იქნეს კრონშტეინებზედ. ფერ-მების შუა 22 ფუტი უნდა იქმნეს, მოაჯირებს შუა 33 ფუტი, ფერმების სიმაღლე 13 ფუტი და 7 დიუმი. ხიდის ძირი უნ-და იქმნეს წყალზედ ამაღლებული $26\frac{1}{2}$ ფუტზედ; სიღრმე მდი-ნარისა 28 ფუტი და 4 დიუმი არის. გაზაფხულის წყალი აიწევს 14 დიუმზედ; შემოდგომის დაიწევს გაზაფხულისაზედ 7 დიუმზედ. გაგრძელდება გაზაფხულის წყლის მომატება თით-ქმის ორი თვე, შემოდგომის ერთი თვე. წყლის სისწრაფე ერთ სეკუნდში 7 დიუმს შეადგენს, გაზაფხულის წყლის სისწრაფე 21 დიუმსა. წყლის ძირი კლდოვანია. მარჯვენა მხარეზე შე-ნობებია, მარცხენა კი ცარიელი ადგილი

იმ პროექტით, რომელიც სამოქალაქო გამგეობაშია, გამო-ანგარიშებულია სულ, მოაჯირიც რომ ჩავთვალოთ, რომელიც უნდა გაკეთდეს რკინისაგან, 65 6,25 ფუთი რკინა და 385,29 ფუთი თუჯი. ზემოხსენებული პროექტი შეიძლება ნახოს მსურ-ველმა გამგეობის სტროიტელნი ოტდელენიეში ყოველ დღე.

დაწერილი განცხადება მიიღება გამგეობაში ერთი კვირის განმავლობაში ამ განცხადების უკანასკნელი დღიდამ რომ დავთვალოთ. განცხადებებში უმთავრესად უნდა იყოს მოხსენებუ-ლი რკინის და თუჯის ფასი ფუთობით მოტანით და დაწყო-ბით, აგრეთვე აშენების გათავების ვადა. (3—1)

---

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო

# ბანკისაგან

ზედამხედველი კომიტეტი თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა, წესდების მე-83 მუხლის ძალით, მოიწვევს ამა ბანკის წევრთ-დამაარსებელთ ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზედ, რომელიც იქნება ამ 1881 წელს 26 აპრილს, დილის 10 საათზე, ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები.

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის გავლილ 1880 წლის ანგარიშისა (შემო-სავალ-გასავლისა).

2) განსაზღვრა—თუ რაზედ უნდა დაიხარჯოს ბანკის შემოსავლიდამ „საზო-გადო საჭიროებათათვის“ გადადებული ფული.

3) განხილვა ბანკის გამგეობის გასავლისა ამ 1881 წლისათვის.

4) ამორჩევა ბანკის გამგეობიდამ რიგით გამოსულის წევრის თ. ჩოლოყაშვი-ლის სამაგიერო წევრისა და გამგეობის წევრების სამის კანდიდატისა. (7—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Апрѣля 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.